საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№30/15

2013 წელი, 19 თებერვალი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 163-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1. საქართველოს პარლამენტის წევრის დავით ონოფრიშვილის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრის დავით ონოფრიშვილის საკანონმდებლო ინიციატივით წარმოდგენილი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (№07-3/52, 06.02.2013) საქართველოს კანონის პროექტი განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით.

2. საქართველოს პარლამენტის კომიტეტებმა, საპარლამენტო ფრაქციებმა, საპარლამენტო უმრავლესობამ, საპარლამენტო უმცირესობამ, პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა, საქართველოს მთავრობამ თავიანთი შენიშვნები და წინადადებები წარუდგინონ საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2013 წლის 19 თებერვლის №30/1 გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადებში.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის მოადგილე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე ზვიად ძიძიგური